საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

№ 19 1921 წ. ოთხშაბათი მარტის 23 № 19

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საერთო კრება ფოსტა-ტელეგრაფში.

პარასკევს, მარტის 25-ს საღამოს 6 საათზე მთავარფოსტის კონტორის დარბაზში პლეხანოვის პროსპექტი. ფოსტა-ტელეგრაფის სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაცია იწვევს

## ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე სოც.-ფედერალისტთა საერთო კრებას

რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს

## პროფ. შალვა ნუცუბიძე

### თანამედროვე მომენტზე

დასწრება შეუძლიას ყველა მუშა-მოსამსახურეს.

## ბრძოლის ახალი ფაზის!!

ხანგრძლივი ყოყმანისა და ვაჭრობის შემდეგ ინგლისმა ხელი მოაწერა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულებას. ინგლისი მსოფლიო კაპიტალიზმის პოლიტიკური ხელმძღვანელია. საბჭოთა რუსეთი კი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ცეცხლის დამნთები და მისი ბელადი. და აი, ამ ორ ყოვლად შეურიგებელ ანტაგონისტთა შორის შეთანხმება მოხდა... ერთი წლის წინად ისეთი რომ დაუჯერებელ ზღაპრად მოეჩვენებოდა კაცს. დღეს კი ფაქტია.

სამი წლის განმავლობაში გაშმაგებული ბრძოლით ორივე მხარემ საკმაოდ გაიცვნეს ერთი-მეორე და ძალები გაზომეს.

ანტანტამ ყოველივე საშუალება ამოსწურა, მაგრამ ვერ შესძლო რუსეთის შინაური თუ გარეშე ძალებით დამარცხება.

სამაგიეროთ ვერც რუსეთმა მოახერხა ანტანტის შიგნიდან აფეთქება.

ერთი კი ყველასათვის ცხადი შეიქნა: ამ ბრძოლის პროცესში საბჭოთა რუსეთი გაძლიერდა, განმტკიცდა და ქვეყანას აკვირვებს ზეადამიანური მოთმინებისა და ენერგიის გამოჩენით. ანტანტა კი დაუძლურდა დასუსტდა იმდენად, რომ მისი ტონის მიმცემი ინგლისი სავაჭრო ხელშეკრულებას სდებს იმასთან, ვისთანაც უწინ გამოლაპარაკებაც კი შეუძლებლად მიაჩნდათ.

კაპიტალისტური ევროპა ეხლა მაინც ხედავს, რომ სოციალისტური რევოლუციის ტალღები მსოფლიოს არყევს, და ეს გამოიწვია სხვათა შორის რუსეთის ბლოკადამ. ევროპაში გაიზარდა უმუშევართა არმიები, ვითარდება კრიზისი, გროვდება ასაფეთქებელი მასალა.

კაპიტალიზმი ვეღარ ახერხებს ცხოვრების ძველ კალაპოტში ჩაყენებას. ეს თანდათან აშკარავდება და ცხადდება მათთვისაც, ვისაც დღემდე არა სჯეროდა.

რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულება, რასაც აუცილებლად მოჰყვება ასეთივე ნაბიჯები სხვა სახელმწიფოების მხრივაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელს შეუწყობს ევროპაში კრიზისის განელებას.

რუსეთიდან გატანილი ნედლი მასალა და რუსეთისათვის დაკვეთილი დიდძალი საქონელი აამუშავებს ევროპის ქარხნებს და შეამცირებს უმუშევართა რიცხვს.

მეორეს მხრით საგრძნობლად შეასუსტებს რუსეთში დღეს არსებულ უზომო გაჭირვებას და ხელს გაუხსნის საბჭოთა მთავრობას მეტი ყურადღება მიაქციოს შინაურ აღმშენებლობას. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, უფრო გააძლიერებს და განამტკიცებს რუსეთის მდგომარეობას.

ამ რიგად იწყება ბრძოლის ახალი ხანა. ბურჟუაზიული ევროპა ეცდება წაგებული საქმის გამოსასწორებლად ისევ რუსეთით ისარგებლოს და აღადგინოს შერყეული ავტორიტეტი კაპიტალისტური რეჟიმისა, გააჩაღოს ვაჭრობა-მრეწველობა, თავი დააღწიოს კრიტიკულ მომენტს და ისევ იბატონოს.

გარეშე ფრონტიდან განთავისუფლებული რუსეთი კი მთელ თავის დაუშრეტელ ენერგიას მოახმარს სოციალისტურ შემოქმედებითი აღმშენებლობას. მან უნდა დაუმტკიცოს ყველას, რომ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შეუძლია ნანგრევებიდანაც შექმნას ახალი სოციალისტური წესწყობილება, დაამკვიდროს შრომის სუფევა და ეს სრულიად საკმარისი იქნება, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი საბოლოოდ ისტორიას ჩაბარდეს.

თ.

## ახალი ამბავი

— **რკინის გზებზე.** პირველ უბნის წევის სამსახურის უფროსი და ამავე უბნის წევის სამსახურის კომისარი სადგურ ხაშურში მგზავრობის მოხსენებაში ამბობენ, მთელი გზის სადგურები საშინელ სურათს წარმოადგენს, ყველა ქონება დატვირთული და დამსხვრეულია, ან წაღებული. სადგურ ხაშურის დეპოს დათვალიერების შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ საჭიროა დაუყონებლივ მასალების, ინსტრუმენტების საკანცელარიო ხელსაწყობის და ყველა საჭირო ინვენტარის და აგრეთვე გადამცემ ტყავების და დინამო მანქანები დეპოსთვის მიწოდება.

— **რკინის გზებზე.** კახეთის რკინის გზაზე 17 მარტს გაიხსნა წესიერი მოძრაობა სამგზავრო მატარებლებისა.

რკინის გზებზე დაარსდა რკინის გზის მილიცია. რკინის გზის მილიციის უფროსად ამხ. კუჩულორიანი(?), მის თანაშემწედ ამხ. ჩხეკინი(?).

— **იუსტიციის სახალხო კომისარი** იღებს მთხოვნელებს სამსახურის გამო ყოველ დღე, უქმეების გარდა, დილის 11—12 საათ. კერძო პირებს 12—1 საათ. მსურველნი წინაწარ უნდა ჩაეწერონ კომისარის პირად მდივანთან.

— **მასწავლებელთა კრება.** ტფილისის მასწავლებელთა საერთო კრება დანიშნულია მასწავლებელთა სახლში (ყოფილი ქართული კლუბი) ხუთშაბათს, მარტის 24-ს, საღამოს 6 საათზე.

კრებაზე შესასვლელი ბარათების მიღება შეიძლება იქვე 12 საათიდან. დღიური წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) პროფესიონკავშირთა მიზნები და მათი ორგანიზაცია, 3) გამგეობის დამატებითი არჩევნები.

— **ვასილ ბარნოვის მეორე ტომი.** გამოვიდა ჩვენი მცხოვანი ბელეტრისტის ვასილ ბარნოვის თხზულებათა მეორე ტომი, რომელშიაც მოთავსებულია ხუთი მოთხრობა: „დედა", „დაეწაფა სურვილით", „ემმა", „ტკბილი დუდუკი" და „მიმქრალი შარავანდედი", ეს უკანასკნელი 1915 წელს დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის" პრემიად, რომელიც აღარსად იშოვება, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ გადასწყვიტა სისტემატიურად მიაწოდოს ხალხს ვასილ ბარნოვის ნაწარმოებნი, რომელიც ათ ტომად არის გათვლილი. მეორე ტომი შეიცავს 300 ამდე გვერდს, დაბეჭდილია ფაქიზად და ღირს 950 მანეთი, რაც დღევანდელ პირობებში იაფად უნდა ჩაითვალოს, სასურველია დანარჩენი ტომებიც მალე ვიხილოთ.

### შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენს განცხადებაში შეგვეპარა სამწუხარო შეცდომა: დაბეჭდილია: „ლექციები წაიკითხება ქართულად და რუსულად". უნდა იყოს: ლექციები წაიკითხება ქართულად".

## ქრონიკა

— **ბოსტნები და ყანები მუშებისთვის.** ქალაქის რევკომის კომუნალურმა განყოფილებამ დაადგინა მისცეს ქალაქს გარეშე ქალაქის თავისუფალ მიწების ნაწილი მუშებს ბოსტნების, ყანებისთვის და სხვ. მიწის ნაკვეთები გაიცემა ერთის წლის ვადით, არა უმეტეს ერთი და მეოთხედი დესეტინა იმ პირობით, იმ მოიჯარადრემ თითონ დაამუშაოს მიწა. იჯარის ფასი მოსავლის ერთი მეექვსედია. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის უძრავ ქონებათა მართველის ტყეშელაშვილისაგან(?).

— **საბინაო სამეული.** საბინაო ცენტრალურ სამეულის თავმჯდომარე, წევრი ქალაქის რევკომისა ბარონ ბიბილეიშვილი(?) დანიშნულია ქალაქის რევკომის მართველათ. მის მაგიერ საბინაო სამეულში დაინიშნა მ. მეგრელიშვილი. საბინაო სამეულში დელეგატათ დაინიშნა ქალაქის რევკომისაგან ვასილ კალანდარაშვილი, პროფ. კავშირების ცენტრისაგან ს. დევდარიანი.

— **სოციალური უზრუნველყოფა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სამმართველო გადავიდა ალექსანდრეს ქუჩიდან მადათოვის ქუჩაზე № 3. თხოვნების მიღება ახალ სადგურში.

**იუსტიციის სახალხო კომისარიატი** მარტის 19-ს საქართველოს სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის შემდეგი პროექტი:

1. კომისარიატის საქმეების მმართველობა. ა) კომისარიატის კანცელარია კომისარიატის განკარგულებანი ბ) პირადი შემადგენლობის საქმის წარმოება-კომისარიატის პირად შემადგენლობის წარმოება და მოსამსახურეების დაკმაყოფილება ყველა სახის გასამრჯელოთ გ) საერთო რეგისტრატურა განკარგულება და კორესპოდენციის გაგზავნა დ) საეკზეკუტორო ნაწილი. ე) კოლეგია ინსტრუქტორებისა და კოლეგია მთარგმნელებისა ზ) საგამომძიებლო ნაწილი. ტექნიკური მეთვალყურეობა გამოძიების წარმოებისადმი მთელ რესპუბლიკაში.

2. სასამართლოს აღმშენებლობის და მეთვალყურეობის განყოფილება: 1) კომისია სასამართლოს ორგანიზაციის საბჭოთა საფუძველზე 2) სასამართლოს აღმშენებლობის ქვეგანყოფილება მიღება და განხილვა საჩივრებისა 3) სტატისტიკის ქვეგანყოფილება სასამართლოს დაწესებულებათა მოქმედება, დახაზულობის(?) რეგისტრაცია.

3. სასამართლოს კანტროლის განყოფილება. განყოფილებები: ა) სისხლის სამართლის ბ) სამოქალაქო, მეთვალყურეობა, რათა სწორეთ და ერთნაირად გატარდეს დეკრეტები ყველა სამოსამართლო დაწესებულებაში და გარკვევა გაუგებრობისა და კითხვებისა, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სამოქალაქო და სისხლის სამართლის დეკრეტების ცხოვრებაში გატარების დროს.

4. სამეურნეო-საფინანსო განყოფილება. განყოფილებები: ა) ბუხგალტერია-კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და კრედიტების ასიგნობების განაწილება იუსტიციის უწყებაში ადგილობრივ. ბ) სამეურნეო განყოფილება გამგე ქონებისა, გამგებლობა ბინის და ტეხნიკური მეთვალყურეობა.

5. სალიკვიდაციო განყოფილება. ა) განაგებს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებათა და ყოფილ მთავრობის იურიდიულ ინსტიტუტების ლიკვიდაციას. ბ) ცხოვრებაში გაჰყავს დეკრეტი ეკლესიის სახელმწიფოსთან გამოყოფის შესახებ.

6. დამსჯელი განყოფილება. შემუშავება და ცხოვრებაში გატარება საპყრობილეთა საქმის რეფორმებისა. გამგეობა და კონტროლი იუსტიციის სახალხო კომისარიატისადმი დაქვემდებარებულ დასაპატიმრებელ ადგილებისა და დამცველ დარაჯებისა.

7. საგამომცემლო და ცნობათა განყოფილება. ა) საგამომცემლო განყოფილება განაგებს მუშათა ჟურნალის „პროლეტარული უფლების" გამოცემას. იურიდიული გამომცემლობა და სასამართლოს განცხადებების განყოფილება. ბ) ქვეგანყოფილება ცნობათა და საიურის-კონსულტაციო.

### ქალაქის რევკომში.

შაბათს, მარტის 19 ქალაქის რევკომმა მიიღო შემდეგი დადგენილებანი საბინაო განყოფილების საბინაო სამეული უქმდება, მის მაგივრად არსდება საბინაო განყოფილება კოლეგიის სახით ხუთი წევრისაგან: ქალაქის რევკომის, პროფესიონალურ კავშირებისა და სამხედრო უწყების წარმომადგენელთაგან. საბინაო განყოფილება მოქმედობს მხოლოდ კოლეგიალურად, ამასთან ყველა წარმომადგენელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით.

2) წინადადება მიეცეს საბინაო განყოფილებას აიღოს ანგარიშზე ქალაქში არსებული ყველა ბინა, ვალდებულ ჰყოს სახლის კომიტეტები ჰქონდეთ ყოველთვის სწორი ცნობები რამდენია თავისუფალი ბინა ან ისეთი, რომელშიაც ჩასახლება შეიძლება. 3) წინადადება მიეცეს საბინაო განყოფილებას შეიმუშაოს და წარუდგინოს საბინაო განყოფილებას დაწვრილებით გეგმა მუშათა [illegible]ლებისა. 4) წინადადება მიეცეს საბინაო განყოფილებას შეიმუშაოს ნორმა საცხოვრებელ ბინის ჩასახლებისა და ამასთან აიღოს საფუძვლათ ნორმა არსებული რუსეთის ს. ფ. ს. რ. 5) წინადადება მიეცეს საბინაო განყოფილებას აიღოს ანგარიშზე ყველა კაფე, რესტორანები და საკანდიტროები, სადაც მუშაობა დაწესებულებათვის შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ ქალაქის რევკომის თანხმობით. 6) აეკრძალოს მოქალაქეებს ერთი ბინიდან მეორეში გადასვლა, თუნდაც ერთსა და იმავე სახლში საბინაო განყოფილების ნებადაურთველად და ყველა გადასვლა, რომელსაც ჰქონდა ადგილი თებერვლის 25 შემდეგ უკანონოდ ჩაითვალოს. 7) წინადადება მიეცეს საბინაო განყოფილებას გადასცეს სასურსათო სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ყველა დაბეჭდილი საწყობები ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობისა. 8) ყველა ბრძანებები, საბინაო განყოფილების მიერ გამოცემული, უნდა დადასტურებულ იქმნას ქალაქის რევკომისაგან. 9) წინადადება მიეცეს საბინაო განყოფილებას დაუყონებლივ შეუდგეს საბინაო ქვეგანყოფილებებისა რეორგანიზაციას, რომელთა რიცხვი იქნება 13 სამილიციო უბნების მიხედვით. საბინაო ქვეგანყოფილებათა პირველი შემადგენლობა დაინიშნება პროფესიონალურ კავშირების დახმარებით. საბინაო ქვეგანყოფილებები წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოს მომქმედ მარტო საბინაო განყოფილების დირექტივებით.

### აფთიაქის საქონლით ვაჭრობა.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის განკარგულებით დაბეჭდილ იქნა ქალაქში ყველა საწყობები და მაღაზიები აფთიაქებისა და მთელი ქონება ანგარიშზე აღებული. განზრახულია ამ საწყობებიდან მოეწყოს ერთი სახელმწიფო საწყობი. აფთიაქის საქონლის კერძო ვაჭრობა გაუქმდეს და ნება დართულია პარფიუმერიის და კოსმეტიკის საქონლებით ვაჭრობა.

### რკინის გზებზე.

რკინის გზის კომისარმა და უფროსმა ინჟინერმა კაციტაძემ შემდეგი შუამდგომლობა წარუდგინა საქართველოს რევკომს: „საქართველოს მომხდარ გადატრიალების წინა წამებში ბათომში მოვიდა გემი „მალერასა" რომელზედაც ეწყო რკინის გზის მასალა და მედიკამენტები, ღირებული 70 ათას გირვანქა სტერლინგად და 10 მილიონ მარკად და აგრეთვე მიწათმოქმედების იარაღები, რადიო-სადგური და სხვა. მთელი ეს საქონელი ნაყიდი იყო საქართველოს რკინის გზის კომისიის მიერ (ინჟ. კენდე და ოდიშელიძე) „ლომანის და ამხ." ფირმისაგან. საქართველოში მომხდარ ამბების გამო გემი უკან გაბრუნდა. მოგახსენებთ რა ამას, გთხოვთ დეპეშით მისწეროთ მოსკოვის გერმანიის საელჩოს, რომ მან მიიღოს ზომები გემის დასაბრუნებლად.

— **ქალაქის გაწმენდა.** მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქის სანიტარულ გაწმენდის საქმე კარგად მიდის, მაინც ფიქრობენ გამართონ ერთი კვირა ქალაქის გასაწმენდათ. ამ მუშაობაში მონაწილეობას მიაღებინებენ საბინაო კომიტეტებს.

— **ყანების დათესვა.** ყანების დათესისათვის განზრახული აქვთ გამოითხოვონ 1220 მილიონი მანეთი.

— **ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის ბედი.** სახალხო განათლების კომის. კოლეგიამ დაადგინა საკითხი ყოფილ ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის აღდგენის შესახებ გად იდვას, სანამ საქართველოს რევკომი არ განიხილავს მთელ რესპუბლიკის სახალხო განათლების რეორგანიზაციის საკითხს.

— **აღმოსავლეთის შესწავლის კომიტეტის.** აღმოსავლეთის შესწავლის სრულიად რუსეთის კომიტეტის წარმომადგენლის ინიციატივით მარტის 22 (საღამოს 5 საათზე) პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის შენობაში შესდგება საორგანიზაციო კრება სრულიად რუსეთის აღმოსავლეთის შესწავლის კომიტეტის ტფილისის განყოფილებისა. კრებაზე მოწვეულია ყველა დაწესებულების წარმომადგენელი, რომელთაც აინტერესებს აღმოსავლეთის შესწავლა.

## საბჭოთა რუსეთში

მარტის 21

### ხელშეკრულება რუსეთ-ოსმალეთს შორის.

მოსკოვი, 20—3. (რადიო). გარეშე საქმეთა სახალხო კომისრისაგან. მარტის 16 დამთავრდა რუსეთ ოსმალეთის კონ-

ფერენცია რუსეთსა და ოსმალეთს შორის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების ხელის მოწერით. ამ ხელშეკრულობის ძალით რუსეთი და ოსმალეთი ვალდებულნი არიან არ იცნონ არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ეხებიან მეორე მხარეს და არ არიან ცნობილი მის მიერ. ოსმალეთის ტერიტორია ირკვევა ეგრეთ წოდებულ ნაციონალურ შეთანხმების მიხედვით, ე. ი. საზეიმო აქტით, რომელიც მიიღო ოსმალეთის პარლამენტმა კონსტანტინოპოლში 1920 წ. იანვრის 28. ოსმალეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის საზღვარი მტკიცეთ არის გარკვეული. ბათომი რჩება საქართველოს იმ პირობით, რომ მას ექნება ადგილობრივი ავტონომია და საკუთარ აგრარულ რეჟიმის უფლება. ოსმალეთს ექნება საქონლის თავისუფალი ტრანზიტი ბათომით. ნახიჩევანი იქნება ავტონომიური ტერიტორია აზერბეიჯანის პროტექტორატით. ოსმალეთს მიეკუთვნა ოლქები ართვინის, არდაგანის და ყარსის, მაგრამ იქ, სადაც არპაჩაი უახლოვდება ალექსანდროპოლ-ერევნის რკინის გზას, ოსმალეთის მხრივ დატოვებულია 8 ვერსიანი მანძილი, რომელზედაც ოსმალეთმა არ უნდა იყოლიოს ჯარი და არც გააკეთოს სიმაგრეები. ასეთივე ოთხ ვერსიანი მანძილი დატოვებულია იქ, სადაც არაქსი უახლოვდება რკინის გზას. ორივე მხარენი სცნობენ აღმოსავლეთის ერთა უფლებას უკანასკნელთა მიერ საკუთარ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის თავის სურვილისამებრ არჩევაში.

სრუტეების თავისუფალ ტრანზიტისა უზრუნველსაყოფად შავი ზღვისა და სრუტეების საერთაშორისო სტატუტი აღწერილი იქნება განაპირა სახელმწიფოების დელეგატების მიერ. სტამბოლი ცნობილია ოსმალეთის დედა-ქალაქად. გაუქმებულია რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ძველი ხელშეკრულებანი და აგრეთვე ვალები რუსეთისა, რომელიც ოსმალეთს [illegible]. გაუქმებულია აგრეთვე კაპიტულიაციები. არ შეიძლება ისეთი ჯგუფის შექმნა, რომელიც მიითვისებს მეორე მხარის მთავრობის, ან მისი ნაწილის როლს, ან რომელსაც მიზნათ ექნება ბრძოლა მეორე მხარის წინააღმდეგ. დაწესებულია თავისუფალი ტრანზიტი ორივე მხარის საზღვრებში კანონიერი (გამოტოვებულია)... დაბრუნების, ორივე მხარის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობისა და სხვ. შესახებ.

### კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ხელშეკრულებანი.

**მოსკოვი.** მარტის 21 (რადიო) „პრავდა მეთაურში სწერს“: ჩვენ უეჭველათ შევედით საერთა შორისო ურთიერთობის ახალ წრეში და კერძოთ ეკონომიურ ურთიერთობაში. უკანასკნელ ხანში საბჭოთა რესპუბლიკამ ხელი მოაწერა სამ ხელშეკრულებას: ინგლისთან, პოლონეთთან და ოსმალეთთან. უკანასკნელი ხელშეკრულებანი იყო ჩვენ მიერ ხელმოწერილი ჩვენთვის არა ხელ საყრელ პირობებში. (გამოტოვებულია). უნდა შეწყვეტილიყო საზავო მოლაპარაკება. რატომ, პასუხი ცხადია. საბჭოთა რესპუბლიკა გადაიქცა ძლევამოსილ მსოფლიო ძალათ და მას ასე აფასებს მსოფლიოს „ბაზარი“. „იზვესტიე“ მოწინავეში აღნიშნავს: მძიმე განსაცდელისაგან საბჭოთა რუსეთი კიდევ გამოვიდა გამარჯვებული, უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ (გამოტოვებულია) რეაქცია დიდი ხნით დაკარგავს რუსეთის და საერთაშორისო რეაქციის მისწრაფებას ახალ ავანტიურასადმი და დაინახავენ საბჭოთა უფლებების დამხობის ცდის უნაყოფობას.

## უცხოეთი

### ანტანტა თხოულობს გერმანიისაგან 20 მილიარდს.

**პარიზი.** მარტის 17 (რადიო) საფრანგეთის პრესა აქვეყნებს ნოტის შინაარს მიმართულს გერმანიის მიერ ზარალის ამნაზღაურებელ კომისიისადმი. ნოტა მოაგონებს გერმანიის მთავრობას, რომ ვერსალის ხელშეკრულების 235 ტი მუხლის შესრულებამდე. გერმანია ვალდებულია გადაიხადოს 1921 წლის მაისამდე 20 მილიარდი აუცილებელ საჭიროების საგნის და ნედლი მასალის საფასურში. რომლებიც შეიტანეს გერმანიაში. ზედმეტი ფული უნდა ჩაირიცხოს ზარალის ანაზღაურების ფონდში. ზარალის ამნაზღაურებელი კომისია მოაგონებს გერმანიას 1921 წლ. 20 იანვრის ვალდებულებებს კომისიამ მიიღო გერმანიის მემორანდუმში რომელიც შეიცავს სიას და ჩამოთვლილია ის საქონელი, რომელიც გერმანიამ გადასცაამ რიცხვისათვის. მემორანდუმში ნათქვამია, საქონლის ღირებულება გამოქვითულ იქმნას ზარალის ამანაზღაურებელ ფულიდან. 1921 წ. 26 თებერვლის წერილით კომისიამ აცნობა გერმანიას, რომ ყველა გადასახადები, რომლებიც უკვე სისრულეშია მოყვანილი ან და გადახდილი უნდა იქმნას 1921 წ. მაისამდე, გამოქვითულ იქნება ოქროს მარკების ჯამიდან. კომისიამ სთხოვა გერმანიას, რომ მან წარადგინოს თავისი წინადადებანი მასზედ დარჩენილ 12 მილიარდის გადასახდელ საშუალებათა შესახებ. გერმანიის მთავრობამ წერილით მარტის 14 თარიღით, უარი სთქვა ამ მოთხოვნილების ასრულებაზე, იმაზე მითითებით, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულებანი, რომელნიც გამომდინარეობდნენ 235 მუხლიდან. ამის გამო ზარალის ამანაზღაურებელმა კომისიამ განაცხადა. რომ (გამოტოვებულია) იმ მიზნით, რომ ოქროთი და უცხო ვალიუტით გადასახადი შეცვლილ იქმნას საქონლის გაღებით ან და უცხოეთის ან გერმანიის მოძრავ ქონებაზე გადატანით.

### გერმანია და საფრანგეთი

**ლიონი.** მარტის 20. ქრისტიანიაში ნორვეგიის პრესამ გამოიანგარიშა, რომ 1871 წ. საფრანგეთის მიერ გერმანიის სასარგებლოთ გადახდილი 5 მილიონი ფრანკი ეხლა თავის სარგებლით აღწევს 57 ბილიონს და 335 მილიონს.

ფრანკსა. ეს თანხა რომ გერმანიამ იხადოს, მაშინ ყოველწლიური გადასახადი მიაღწევდა 4 მილიონს 215 მილიონ მანეთს. ამგვარათ-ამტკიცებს ნორვეგიის პრესა, ის, რაც ეხლა უნდა გადაიხადოს გერმანიამ წარმოადგენს იმ სამხედრო ზარალების კანონიერ ანაზღაურებას, რომელიც განიცადა საფრანგეთმა 1871 წელში.

### გერმანიის განიარაღება

**ლიონი.** მარტის 19. (რადიო) საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დამთავრდა კამათი ლონდონის კონფერენციის შესახებ. კამათის დროს ყოფილმა სამხედრო მინისტრმა ლეფევრმა განაცხადა, რომ აუცილებლივ უნდა შეიქმნეს მუდმივი კონტროლი გერმანიის განიარაღებისათვის მომავალში ახალ ომის თავიდან ასაცილებლათ და დემოკრატიის არსებობის უზრუნველსაყოფათ.

შემდეგ დეპუტატთა პალატაში განაცხადეს: პარიზის შეთანხმება აღარ არსებობს, რადგანაც გერმანიამ მას ხელი არ მოაწერა. საფრანგეთის მდგომარეობის შესახებ დეპუტატებმა განაცხადეს: უნდა მიღებულ იქმნას ყველა ზომები, რათა მოისპოს ის ნერვიული განწყობილება, რომელიც მეფობს სახელმწიფოში. საერთო მშვიდობიანობის აღდგენა საშუალებას მისცემს ყველას დაუბრუნდნენ მშვიდობიან შრომას.

### ცენტრალური ევროპა.

**რიგა.** მარტის 18. (რადიო). სასწრაფო საკითხების განხილვის მიზნით, რომში იწვევენ იმ სახელმწიფოთა კონფერენციას, რომელნიც წინად შედიოდნენ ავსტრიის იმპერიის შემადგენლობაში, ე. ი. ავსტრიის, ჩეხო-სლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის და იტალიისას.

### ოსმალეთის დელეგაცია პარიზში.

**ლიონი.** მარტის 19. (რადიო). ოსმალეთის ორივე დელეგაცია ჩავიდა პარიზში, სტამბოლის და ანგორის წარმომადგენლებს სადგურზე მიეგებნენ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლები. დელეგატები დარჩებიან პარიზში 8 დღეს და შემდეგ გაემგზავრებიან რომში, სადაც აგრეთვე რამდენიმე დღეს დაჰყოფენ.

ბექირ სამი-ბეიმ განაცხადა, რომ იგი დაკმაყოფილებულია ლონდონის კონფერენციით და გამოსთქვა იმედი, რომ მოკავშირეებთან შეთანხმება დაამყარებს ისეთ ზავს, რომელიც დააკმაყოფილებს ყველას.

### კომუნიზმი ლიუქსემბურგში.

**ბერლინი.** მარტის 19. (რადიო). გაზეთ „ფორვერტს“-ის ცნობით ლიუქსემბურგის პალატის არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 3 ხმა მაშინ, როდესაც დამოუკიდებლებს არც ერთი ხმა არ მიუღიათ.

**მოსკოვი.** 20-3 (რადიო) შიმშილობის ნიადაგზე გერმანიაში სიკვდილის შემთხვევამ იმატა 15 პროც.

### მოითხოვენ რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებას.

(რადიო) გერმანიის ბარბაროს მემამულეებმა მოსთხოვეს მთავრობას რვა საათის მუშაობის გაუქმება მუშათათვის და მისი გადიდება.

### გერმანიის მეურნეობის დაშლა.

(რადიო) 17 მარტს ბერლინის ქალაქის საბჭოს წინ გაიმართა უმუშევართა დიდი მანიფესტაცია.

### იაპონიის პროლეტარიატი მტკიცდება.

(რადიო) იაპონიის პროფ. კავშირების თავჯდომარემ სუზიკიმ განაცხადა, რომ იაპონიაში არსებობს 30 პროფ. კავშირზე მეტი, რომელიც აერთებს 100,000 წევრს: პროფ. კავშირები იზრდება, თვითშეგნება მუშებისა ვითარდება. განსაკუთრებით ცნობილია 2 მსხვილი კავშირი: მადნეზე მომუშავეთა და მეზღვაურთა. მუშათა მოძრაობა იმყოფება მარქსიზმის დიდ გავლენის ქვეშ.

### ინგლისის მუშები წინაღმდეგობას უწევენ.

**ლონდონი,** 17—3. (რადიო) ინგლისის მუშები იწვევენ ყრილობას ინგლისის კაპიტალისტების მიერ გაზრახულ სამუშაო ხელფასის შემცირების წინააღმდეგ საბრძოლველათ. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ: მადნეზე მომუშავენი, რკინის გზელები, ტრანსპორტის მუშები, მექანიკოსები და აღმშენებელი მუშები.

### ინტერვიუ ბექირ-სამი-ბეისთან.

**პარიზი.** 20—3. (რადიო). „ექსცელსიორის“ თანამშრომელთან საუბრის დროს ლონდონის კონფერენციაზე დანიშნულ ოტომანის დელეგატმა ბექირ-სამი-ბეიმ გამოთქვა თავის კმაყოფილება იმის გამო. რომ ეკონომიური პირობები, დადებული ლონდონში ოსმალეთთან, გაცილებით უკეთესია. ვიდრე სევრის ხელშეკრულების პირობები. მისი სიტყვით ახ ლი შეთანხმებით შესაძლებელია გვქონდეს იმედი უკეთესი პირობებისა ოსმალეთის რეორგანიზაციის საქმისათვის და წარმოადგენს პირველ ნაბიჯს ძველ კარგი ურთიერთობის აღდგენისთვის ოსმალეთთან. საფრანგეთის ჯარების გამოწვევას კილიკიიდან, ბექირ-სამი-ბეის სიტყვით, არავითარი დაბრკოლება არ დახვდება.

## დეკრეტი

### საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის რევკომისა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევკომი შეუდგა რა სასამართლოს დარგის მოწესრიგებას რესპუბლიკაში საბჭოთა პრინციპების საფუძველზე და სცნო, რომ აწ არსებულ სასამართლოს დაწესებულებანი, როგორც დამყარებულნი კლასთა დაყოფის პრივილეგიებზე, არ შეესაბამებიან ფართე მშრომელთა მასის მოთხოვნილებას და ვერ უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების სისწორის დაცვას, საჭიროდ დაინახა გაუქმდეს შემდეგი დაწესებულებანი.

1) სენატი ყველა მისი განყოფილებებით (გაუქმებულ იქნეს ყოფილ დამფუძნებელ კრების მიერ გამოცემული კანონები 1919 წ. ივლისის 29-ს №№ 118, 119).

2) სასამართლო პალატა დეპარტამენტებით საპროკურორო ნაწილით და გამომძიებელთა თანამდებობანი უდიდეს და საგანგებო საქმეთა.

3) სამხედრო სასამართლო, მასთან არსებული საპროკურორო და საგამომძიებლო ნაწილებით.

4) გაუქმებულ იქნეს ყოფილ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული კანონთა გადამსინჯავი კომისია.

5) გაუქმებულ იქნეს სასამართლო პალატასთან არსებული უმოძრაოთ დარჩენილ საქმეთა საგამომძიებლო კომისია.

## ბრძანება № 2

### ტფილისის რევკომის სამართველოს განყოფილებისა

ქალაქში ტრამვაის მოძრაობის დროს მგზავრები არღვევენ წესრიგს კიბეებზე ჩამოკიდებით, რაც იწვევს ვაგონების გაფუჭებას და შემდეგში სრულიად მოძრაობის შეჩერებას.

ამისათვის, ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად, საჭიროა კონდუქტორებმა სასტიკად დაიცონ ტრამვაიზე არსებული მოგზაურობის წესდება.

მთელი პასუხისმგებლობა ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარების ეკისრებათ კონდუქტორებს მილიციის დახმარებით.

დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან მთელი სისასტიკით რევოლიუციონური კანონების თანახმათ. სამართველოს გამგე გორ-რევკომის წევრი ვარდახიანი.

### ბრძანება № 3 ტფილისის რევკომის სამართველოს განყოფილებისა

მიუხედავათ განკარგულებებისა, ქალაქში გრძელდება სისწრაფით ავტომობილების მოძრაობა, ხშირად უნებართვოთ და მგზავრებით, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ საბჭოთა მუშაობასთან.

წინადადებას ვაძლევ მილიციის უფროსს მიიღოს სასტიკი ზომები ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად. ავტომობილები უნებართვოთ დაუყონებლივ უნდა იგზავნებოდეს ცენტრო-გარაჟში, მგზავრები, მათ შორის აგრეთვე დედაკაცები და ქალწულნი მილიციის სამართველოში ვინაობის გამოსარკვევად.

ამ ბრძანების დარღვევისათვის დამნაშავენი დაისჯებიან მთელი სიმკაცრით რევოლიუციონურ კანონებისა. განყოფილების გამგე გორ-რევკომის წევრი ვარდახიანი.

სამუსიკო ინსტრუმენტების რესპუბლიკიდან გატანის და ნება დაურთველათ ერთი ბინიდან მეორე ბინაზე გადატანის აკრძალვა.

### ბრძანება № 9.

1. სასტიკად აკრძალულია სამუსიკო ინსტრუმენტების გატანა ს. ს. საქართველოს რესპუბლიკიდან.

2. აკრძალულია სამუსიკო ინსტრუმენტების (ფორტეპიანო) გადატან-გადმოტანა ერთი სახლიდან მეორეში, სამუსიკო ინსტრუმენტების დამცველ კომისიის ნებადაურთველად (პეტროდიდის ქუჩა № 8).

### ბრძანება. № 9.

3. აკრძალულია სამუსიკო ინსტრუმენტების გაცვლა გამოცვლა.

4 ამ ბრძანების დამრღვევს ჩამოერთმევა სამუსიკო ინსტრუმენტები.

5. სასტუმროებიდან რესტორანებიდან დატოვებულ ბინებიდან ყოველი მუსიკალური ინსტრუმენტი და ქონება გადატანილი იქნეს სარეგისტრაციო პუნქტში (პეტროდიდის ქუჩა № 8) და სათანადოდ იქნას აღწერილ აღრიცხული.

6. ყველა ამ განკარგულების შესრულება ევალება მუსიკალურ ინსტრუმენტთა და ქონების დამცველ კომისიის თავმჯდომარეს ამხანაგ ილია აბაშიძეს. სახალხო განათლების კომისარიატის სასწავლო კოლეგიის წევრი წერეთელი.

## ცეილიკმან-როზენბერგის საპასუხოდ.

რამდენიც უნდა შესწყრენ ბ-ნნი როზენბერგი და ცეილიკმანი, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. მას შემდეგ, რაც რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა, ეს მოსკოველი ადვოკატები, რასაც თვითონ არ უარყოფენ, ცხოვრობენ იქ, სადაც ბოლშევიზმი არ იყო-ჯერ სამხრეთ რუსეთში, შემდეგ საქართველოში. ბ-ნი როზენბერგი ამბობს, ვითომც ძალიან სურდა მოსკოვში დაბრუნება [illegible] რინიდან, მაგრამ [illegible] შემოსევამ [illegible] კმანსაც ჰქონია, ვითომც [illegible] შევიკებთან მუშაობის, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ყირიმიდან ბოლშევიკებთან წასულიყოს, თუნდაც ოდესაში, სადაც „ფილტვების ავადმყოფობისათვისაც“ უკეთესი იქნებოდა, მაინც აქ, შორეულ საქართველოში, მობრძანდება ეს ერთი წელიწადია, რაც საბჭოთა რუსეთი ჩვენი მოსაზღვრე შეიქნა, ბ-ნთ როზენბერგს და ცეილიკმანს დიდი ხანია შეეძლოთ წაბრძანებულიყვნენ ბოლშევიკებთან, რომლებთანაც, მათ ვითომც სურდათ მუშაობა თუნდაც აზერბაიჯანში, მაგრამ მაინც აქ, მენშევიკების სამფლობელოში, რჩებიან: როზენბერგი ჯერ მომარაგების სამინისტროში იყო თურმე სამსახურში, მერე კი, როცა ბ-ნმა ერაძემ გააგდო, როგორც ყოვლად უვიცი, ფინანსთა სამინისტროში მოეწყო რაღაც სინეკურაზე. ბ-ნ ცეილიკმანსაც, როგორც თვით აღიარეს, ჰქონია სამუშაო.

ეს ფაქტები რას ლაპარაკობენ? მხოლოდ იმას, რომ ეს ვაჟბატონები, რბილათ რომ ვთქვათ, „ერიდებოდენ“ ბოლშევიზმს. ესაო და გერმანელების შემოსევამ შეგვიშალა ხელი ბოლშევიკებთან წავსულიყავითო,—ეს და სხვა ასეთი ზღაპრები თავის ბავშებს მოუყვენ.

რათქმა უნდა, ჩვენ არ გვაინტერესებს ბ-ნნ როზენბერგის და ცეილიკმანის პიროვნება, არც მათი პოლიტიკური თუ სოციალური მიმართულება. ჩვენ მივაქციეთ ყურადღება მათ საქციელს, როგორც ტიპიურ მოვლენას, ჩვენი ქვეყნისთვის საზიანოს. ის ხალხი, რომელმაც უმთავრესად რუსეთიდან საქართველოს შეაფარა თავი ამ უკანასკნელ 1—2 წლის განმავლობაში და გასაქცევი გზა აღარსად დარჩა, დღეს ბოლშევიზმს ელოლიავება, რომ „ხელმძღვანელობა“ ჩაიგდოს ხელში ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის ამა თუ იმ დარგში და [illegible] თბილი ადგილები იშოვოს.

და ამას სჩადის ის ხალხი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის არა გაეგებარა, მიუხედავად იმისა, რომ ახალ მთავრობას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს საბჭოთა წყობილება საქართველოს თავისებურობას შეუფარდოს.

და ჩვენ გვფიქრობთ, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა ბ-ნნი როზენბერგი, ცეილიკმანი და სხვა მათსავით ჩვენში თავშეფარებულნი „უპარტიო სოციალისტები“, „ინტერნაციონალისტები“, კადეტები თუ დენიკინელები ის ქვეყანაში, თუ ადგილას, მოიხდიდენ თავის მოვალეობას, რომელსაც იცნობენ და საქართველოს მაღალ თანამდებობის პორთ კარებზე ტალახს არ უყრიდენ.

გარეშე.


## დაიკარგა

პასპორტი იოსებ გრიგოლის ძე მამულოვის (მამულაშვილის) სახელზე, რომელიც გაუქმებულად ითვლება.

## დაიკარგა

## კოოპერატივ „მეურნე“

წიგნაკი ადამ ზურაბის ძე მჭედლიშვილის სახელზე, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად. 671

უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის

## გამოცდილი მასწავლებელი

## ამზადებს მოწაფეებს

საშუალო და საშემოდგომო გამოცდებისათვის ყველა საგნებში.

ვერა, მეორე კირპიჩნი ჩიხი (ტუპიკი) № 3. (ბელინსკის ქუჩიდან) ბინა სიხარულიძისა. 672


რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.